

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ.თბილისი

24 თებერვალი, 2026 წელი

15<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ბექა ოდიშარია

ლევან არველაძე

შალვა ოგბაძე

ალექსანდრე ასათიანი

ვალერიან პაპუაშვილი

ირაკლი ბენდელიანი

შალვა პერანიძე

კახა ბერაძე

მიხეილ რეხვიაშვილი

ნოდარ ბოკერია

შალვა სუთიაშვილი

ბექა გელენავა

დავით ფანჯაკიძე

გიორგი გვენეტაძე

გიორგი ქარდავა

მარიამ გრიგოლიშვილი

შოთა ქეცხიშვილი

გიორგი დობტურიშვილი

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

კონსტანტინე ზარნაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ცოტნე ჩიქვინიძე

ვაჟა კოკია

ოთარ ჩრდილელი

ლალი კოლომიკოვი

გივი ჩხარტიშვილი

ჯაბა კოლუა

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ზაქარია წიკლაური

შალვა მაისურაძე

ქეთევან ჭავჭავანიძე

ბექა მენთეშაშვილი

დავით ჭელიძე

ბექა მიქაუტაძე

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

ალექსანდრე მუკათარიძე

მამუკა ხაბარელი

გურამ ნიკოლაშვილი

დავით ხაბეიშვილი

არჩილ ნიჟარაძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი გოგი ჩიქოვანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ არაგველი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

შალვა ოგბაიძემ ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ დედაქალაქში, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს დაუფარავი ზონები, რომელთაგან ერთ-ერთი, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, სოფელი გლდანთან, დაინიშნა ახალი მარშრუტი, რომელიც მოიცავს იმერეთის, ყაზბეგის, 26 მაისის, აღმაშენებლის, გლდანისხევის და ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის ქუჩებს, რამაც მოსახლეობაში გამოიწვია დიდი სიხარული და იმის იმედი, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. აქვე აღნიშნა, რომ დაგეგმილია დამატებით 70 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის გაშვება, რაც გამოათავისუფლებს 12 და 10 მეტრიანი ავტობუსების გარკვეულ რაოდენობას, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას შეამციროს ინტერვალის დრო იქ, სადაც მგზავრთნაკადის დიდი დაწოლაა. შალვა ოგბაიძემ ასევე, ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე ადამიანებზე და აღნიშნა, რომ 18 კატეგორია მგზავრობს უფასოდ, ხოლო 13 კატეგორია სარგებლობს შეღავათიანი ტარიფით, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ნიშნავს თანამოქალაქეების მიმართ სოლიდარობის გამოხატვას.

ბექა ოდიშარიამ ისაუბრა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ ახალ პროგრამაზე „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“, რომელიც მისი თქმით, ისეთივე პოპულარულია, როგორც პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ და აღნიშნა, რომ მისი დამტკიცება წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებას დედაქალაქისთვის. პროგრამაზე „ისწავლე და დასაქმდი“ აღნიშნა, რომ ის, წლების განმავლობაში, ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და შედეგზე ორიენტირებული მუნიციპალური ინიციატივა, რომელზე მოთხოვნაც მზარდია. მასშტაბის ზრდამ, მონაწილეთა რაოდენობის მნიშვნელოვანმა მატებამ და საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებამ გამოავლინა საჭიროება, რომ პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი, პროფესიული განათლების სპეციფიკაზე მორგებული სამართლებრივი რეგულაცია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეებია: ბენეფიციართა წრის გაფართოება; პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ 16 წლის ასაკიდან მოქალაქეებს; პროგრამა იხსნება კერძო სექტორისთვის, რაც ნიშნავს კონკურენტული გარემოს შექმნას, სასწავლო პროგრამების მრავალფეროვნების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთანავე, კერძო სექტორის რესურსისა და გამოცდილების გამოყენება მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს ბენეფიციარებს შესთავაზოს თანამედროვე ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული კურსები და უფრო მოქნილი საგანმანათლებლო მოდელები. ბექა ოდიშარია, ასევე, გამოეხმაურა შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს, რითიც დასტურდება ქართული სახელმწიფოს და მმართველი გუნდის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც არც „არაბიზაცია“ და არც არცერთი ნაციონალიზმის ექსპანსია არ ემუქრება ჩვენს ხალხს და ქვეყანას, რადგან ზემოთ ხსენებული ცვლილებების თანახმად, ბიზნესი ვალდებული ხდება, უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმებამდე, მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე განათავსოს ვაკანსია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში და თუ ამ პერიოდში დასაქმების მსურველ საქართველოს მოქალაქებს შორის არ მოიძებნება შესაბამისი კადრი, მხოლოდ მაშინ აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების უფლება, რაც საქართველოს მოქალაქეს ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თვითდასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქმიანობის სფეროებში განისაზღვრა კვოტები, რომლის მიხედვითაც, მუდმივი ბინადრობის არმქონე უცხოელებისთვის ნულოვანი კვოტაა განსაზღვრული შემდეგ პროფესიებსა და შრომით სამეწარმეო საქმიანობებზე: საკურიერო მომსახურება, მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებული მომსახურება და ტურისტებისთვის გიდების სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

მარიამ გრიგოლიშვილმა ისაუბრა განათლების რეფორმაზე და განაცხადა, რომ ეს არის არა მორიგი პოლიტიკური თემა, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ახალგაზრდებისთვის და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი არ გაურბის იმ გამოწვევებზე საუბარს, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვდა განათლების სფეროში და ზუსტად იცის, რა გზით უნდა წავიდეს მათ აღმოსაფხვრელად. პირველი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის ნაბიჯი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლა სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ, რაც, თავის მხრივ, არის სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გზავნილი, რადგან განათლებაზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებული უნდა იყოს არა ოჯახების ფინანსურ მდგომარეობაზე, არამედ ახალგაზრდების შრომისა და შესაძლებლობების შედეგზე. აქვე განაცხადა, რომ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან, მათ შორის, საპარლამენტო ტრიბუნლიდან, აქტიურად გვესმოდა მცდარი და დაუსაბუთებელი მოსაზრებები, რომ თითქოს განათლების რეფორმა არ ეფუძნებოდა კვლევასა და ანალიზს. ამასთანავე, იყო „მოარული ხმები“ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო. თუმცა, რეალურად, განათლების რეფორმა ეფუძნება სწორედ იმ კონცეფციას, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები და შექმნილია საერთაშორისო საფუძვლებზე, რადგან საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სწორედ სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზებასთან და უნივერსიტეტებში სტუდენტების სფეროების მიხედვით განაწილებასთან დაკავშირებით. აქვე განაცხადა, რომ განათლება არის ის საძირკველი, რომელსაც ეფუძნება ჩვენი სახელმწიფოებრიობა და თუ ამ მიმართულებით დავუშვებთ რაიმე შეცდომას, მას ვეღარ გამოასწორებს სხვა რეფორმა, ხოლო თუ გადავდამთ სწორ ნაბიჯებს, მივიღებთ ძლიერ ახალგაზრდობას, ეკონომიკასა და სახელმწიფოს. ეს განათლების რეფორმა არის ის სწორად გადადგმული გაბედული ნაბიჯი, რომელიც წლების განმავლობაში სჭირდებოდა ჩვენს სისტემას.

გიორგი გვენეტაძემ განაცხადა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებებიდან ერთადერთი, რაც ძალიან მოსწონს, არის დებატების გახსნა სხვადასხვა ტელევიზიებში, რადგან ამ ინიციატივამ გამოაცოცხლა ქვეყანაში არსებული „მკვდარი პოლიტიკური პროცესი“ და საკრებულოს წევრებს მოუწოდა ანალოგიური დებატების გახსნისკენ. აქვე აღნიშნა, რომ არ მოსწონს, როდესაც მის მიერ, საკრებულოს ან კომისიის სხდომაზე გაჟღერებული რაიმე ინიციატივის პასუხად, უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან ხშირად ესმის არგუმენტი: „ჩვენ ქართველმა ხალხმა მიგვანიჭა მანდატი არჩევნებზე, უმრავლესობაში ვართ და ჩვენ ვწყვეტთ, თუ როგორ წესრიგში უნდა იცხოვრონ ადამიანებმა“ და მიმართა მათ: „კი ბატონო, გეთანხმებით, რომ ამომრჩევლების უმრავლესობამ თქვენ მოგანიჭათ მანდატი, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ეს ადამიანები, როდესაც ხმას გაძლევდნენ, ფიქრობდნენ იმაზე, რომ თქვენ ჯარიმები გაგეზარდათ, რაღაც რეგულაციები გაგემკაცრებინათ ან შემოგედოთ ახალი შეზღუდვები და ა.შ. უფრო მეტიც, მე მიმაჩნია, რომ მმართველ პარტიას, თავის წინასაარჩევნო დაპირებებში რომ ჩამოეთვალა ის კანონები, რომლებიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მიიღო, სულ სხვანაირი პროპორცია დადგებოდა არჩევნების შემდეგ“. საუბრის ბოლოს, გააჟღერა თავისი შეთავაზება - თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სჯერათ, რომ ქართველი ხალხისგან მინიჭებული აქვთ მათზე ზრუნვის მანდატი, საკრებულომ გახსნას და გაასაჯაროოს კომისიის სხდომები, რათა მოქალაქეებმა დაინახონ, რას ფიქრობენ მათი რჩეული დეპუტატები და როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება კომისიის სხდომებზე.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა გიორგი გვენეტაძის შეთავაზებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების სხდომები საჯაროა და ნებისმიერ მსურველს თუ დაინტერესებულ პირს, იქნებიან ეს მოქალაქეები თუ ტელევიზიები, შეუძლიათ დაესწრონ.

გიორგი ქარდავა გამოეხმაურა მთავრობის ინიციატივას 6 წელზე ძველი ავტომობილების შემოყვანის აკმაღლასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ, მისი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთი მხრივ, მორალური თვალსაზრისით, არის უკიდურესად უსამართლო და მეორე მხრივ, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს მოქალაქეებს, რომელთა აბსოლუტურ

უმრავლესობას, მთავრობის იმ წევრებისგან განსხვავებით, რომლებიც ასეთ კანონებს იღებენ, არ აქვს ახალი ავტომობილის შეძენის ფინანსური შესაძლებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ათასობით ჩვენი თანამოქალაქე დასაქმებულია სწორედ საავტომობილო სექტორებში და თუ ამ აკრძალვის მთავარი მიზეზი ჭარბი მოსახლეობით, მათ შორის, უცხოელებით გადატვირთული და პარალიზებული საგზაო ინფრასტრუქტურის განმუხტვაა, მაშინ უმჯობესი იქნება, ამ გამოწვევას ვუპასუხოთ სწორი ეკონომიკური, ურბანული და საემიგრაციო პოლიტიკით და არა საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქისთვის ავტომობილის შეძენის ფაქტობრივი შეზღუდვით.

გურამ ნიკოლაშვილი გამოეხმაურა გიორგი ქარდავას გამოსვლას და განაცხადა, რომ ასაკობრივი ზღვარის დაწესება ავტომობილების იმპორტზე არის ინიციატივა, რომლის შესახებ კანონი ჯერ არ არის მიღებული და ამასთანავე, აღნიშნული ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა და არა თვითმმართველობის. აქვე განაცხადა, რომ ამავდროულად, საუბარია იმაზე, რომ შემსუბუქდეს სატრანსპორტო კუთხით არსებული რეგულაციები, თუმცა, იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის ავტომობილები დადის ქალაქში, ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება არა თუ შემსუბუქდეს, არამედ, პირიქით, საკრებულომ დაიწყოს ფიქრი უფრო მეტ შეზღუდვაზე და პროგრესული რეგულაციის შემოღებაზე. მისი თქმით, ყველა ხედავს განსხვავებას ჩვეულებრივ საწვავზე მომუშავე ავტომანქანებსა და ელექტრომობილებს შორის, მუნიციპალიტეტის მიერ პარკირების კუთხით დადგენილ შეღავათებს და უნდა აღინიშნოს, რომ 6 წელზე ძველი ავტომობილების შემოყვანასთან დაკავშირებითაც არის დიფერენციაცია, კერძოდ, შეზღუდვა არ ეხება ელექტრომობილებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ერთგავრი წახალისების პოლიტიკა და ახალი რეგულირება მიმართულია ავტოპარკის შეცვლისა და გაჯანსაღებისკენ. ნებისმიერი ახალი რეგულაცია ყოველთვის ახერხებს ბაზრის გადატვირთვას, იმპორტიორებიც და მომხმარებლებიც ერგებიან ახალ მოცემულობას და ასე იყო მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის აკრძალვის დროსაც, რამაც გამოიწვია საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი, თუმცა, ბაზარი გადაეწყო და დღეს ვცხოვრობთ ახალ რეალობაში. გასაგებია, რომ ამ მიმართულებით შეიძლება იყოს ბევრი საკამათო თემა, რაც მსჯელობის საგანია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია დიფერენცირება მოხდეს სხვადასხვა სახით, მათ შორის, ზომის, კუბადურის, გამავლობის და პარკირების კუთხით შეიძლება დაწესდეს განსხვავებული გადასახადი, რათა ხელი შევუწყოთ დედაქალაქში ავტოპარკის დადებითი კუთხით ცვლილებას.

მამუკა ხაბარელმა ისაუბრა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც, მისი თქმით, ჩვენი ქვეყნისთვის იყო ისტორიული, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველმა სპორტსმენებმა, პირველად, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მიაღწიეს წარმატებას და ქვეყანას მოუტანეს ვერცხლის მედალი. აქვე განაცხადა, რომ ეს შედეგები არ მოდის მხოლოდ ერთუზიანობით და არის სპორტის მიმართ სახელმწიფოს განსაკუთრებული მიდგომის და უამრავი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების დამსახურება. დარწმუნებულია, რომ ასეთი მიდგომა და ზამთრის სახეობების სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა ჩვენს ქვეყანას აუცილებლად მისცემს იმის საშუალებას, რომ მომავალში კიდევ უფრო განვავითაროთ ზამთრის სახეობები და ზემოთ ხსენებულ ვერცხლის მედალს დავუმატოთ უფრო მაღალი სინჯის მედალები. საუბრის ბოლოს, ქართველ სპორტსმენებს მიულოცა ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატება და იმედი გამოთქვა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი წარმატებები გველის.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა მამუკა ხაბარელის გამოსვლას და განაცხადა, რომ მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა ის, რომ საქართველომ, დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად, ზამთრის ოლიმპიადაზე მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი ჯილდო, როგორცაა ვერცხლის მედალი. მან ქართველ სპორტსმენებს წარმატებები უსურვა, როგორც ზამთრის და ზაფხულის ოლიმპიადებზე, ასევე, ნებისმიერ ტურნირზე ასპარეზობისას და განაცხადა, რომ მათი წარმატება ქვეყნის წარმატებაა.

ნოდარ ბოკერიამ ისაუბრა საქართველოს ტრანსფორმაციულ ეკონომიკაზე და განაცხადა, რომ ამ ეკონომიკის პრაგმატულად და რაციონალურად დაგეგმვით ჩვენ მივიღეთ საშუალოდ 9.4%-

იანი ეკონომიკური ზრდა. აღსანიშნავია ის, რომ ეს მაჩვენებელი დაფიქსირდა სწორედ იმ დროს, როდესაც ვცხოვრობთ საერთაშორისო ეკონომიკური რყევების პირობებში და უნდა გვესმოდეს, რომ ამ ეკონომიკური ზრდის მიღმა დგას ჩვენი მთავრობის და შესაბამისი ინსტიტუტების ინტენსიური და რაციონალური ქმედებები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ თავისი ბერკეტის ქვეშ მყოფი მონეტარული პოლიტიკის იდეალურად გამოყენება და საპროცენტო განაკვეთის დროულად დარეგულირება და ასევე, სავალუტო ინტერვენციებით ინფლაციის საკმაოდ დაბალ, 4.8%-ზე შენარჩუნება, მაშინ, როდესაც ევროკავშირის მთელ რიგ წამყვან ქვეყნებში ფიქსირდება 8.5% ინფლაცია და სხვადასხვა კონტინენტების ქვეყნებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. აქვე განაცხადა, რომ რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, ხშირად ისმის შეფასებები: „ეკონომიკა იზრდება, მაგრამ ეს არ არის აისახება ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების სტანდარტებზე“, მაგრამ აქაც არის მარტივი სტატისტიკა: მაგალითად, 2012 წლიდან დღემდე, სიღარიბის მაჩვენებელმა 26%-დან დაიწია 9%-მდე, ხოლო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების სტანდარტების ყველაზე კარგი საზომი არის მსყიდველუნარიანობის პარიტეტი, რომელიც საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 25000 აშშ დოლარამდე. როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკაზე, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ბიზნეს სექტორზე, რომელსაც, წინა ხელისუფლების პირობებში, არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ თავისუფალი ოპერირება მოეხდინა კონკურენტულ გარემოში, თუმცა, „ქართული ოცნების“ გუნდმა ბიზნესისთვის შექმნა ისეთი კომფორტული გარემო, რომ მსოფლიო ბანკის რეიტინგში საქართველო, ამ კუთხით, იკავებს მეშვიდე ადგილს. ამ ყველაფრს მოჰყვება „ლოგიკური ჯაჭვი“ და ჩვენ ვიღებთ უნიკალურ უცხოურ ინვესტიციებს, რაც შეუძლებელი იქნებოდა იმ საერთაშორისო პროექტების გატარების გარეშე, რომლებსაც ატარებს სახელისუფლებო გუნდი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეკონომიკა უნდა იყოს ჩვენი ფარი და ასეთი ეკონომიკური მაჩვენებლების დაფიქსირება შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობის გარეშე“ და „ქართული ოცნების“ გუნდს წარმატებები უსურვა, რათა ქვეყანამ კიდევ დიდი ხნის მამძილზე შეინარჩუნოს ასეთი სტაბილურობა და მალე გახდეს მოწინავე ქვეყანა ამ მიმართულებით.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა გიორგი გვენეტაძის განცხადებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო დაპირებებში გააჟღერებდა იმ კანონების მიღებას, რომლებსაც იღებს ბოლო თვეების განმავლობაში, არჩევნებზე დაფიქსირდებოდა სხვა შედეგი და განაცხადა, რომ მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნება“ არის ის პარტია, რომელსაც ჰქონდა წინასაარჩევნო პროგრამა და ვინც ხალხს ესაუბრებოდა სამომავლო გეგმებზე და სწორედ არჩევნების შედეგები იყო ქართველი ხალხის გამომახილი და გვერდში დგომა. აქვე აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან არავინ საუბრობს გაკეთებულ საქმეებზე და მოსახლეობისთვის სასიკეთო პროექტებზე, რომლებიც დაიწყო და ხორციელდება კახა კალაძის მერობის პირობებში, მათ შორის, კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემა, რასთან დაკავშირებითაც პროექტები წარმოდგენილია მიმდინარე სხდომაზეც და საუბრობენ მხოლოდ იმაზე, რაც თავად აწყობთ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ დღის წესრიგი არის ხალხის გვერდში დგომა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენ განერვიულებთ კახა კალაძის გაკეთებული და მომავალში გასაკეთებელი საქმეები და სანერვიულო კიდევ ბევრი გექნებათ, დამერწმუნეთ“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა ავთანდილ ცინცაძის გამოსვლას და აღნიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის კუთხით არსებული ვითარება არის ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული პრობლემა, რომელიც აწუხებდა ათასობით ოჯახს. ერთადერთი, ვინც ამ პრობლემის დაძლევის შეეჭიდა, არის კახა კალაძე და მისი გუნდი და უკვე რამდენიმე წელია ამ მიმართულებით ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერს, მის გუნდს და თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართულია ამ საქმეში.

ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ ხშირად ჟღერს ფრაზები, თითქოს რაღაც ხდება „არასწორი ურბანული პოლიტიკის შედეგად“ და განაცხადა, რომ, კომისიურ ფორმატში, სიამოვნებით მოისმენს ნებისმიერი ადამიანის მიერ შემუშავებულ სწორი ურბანული პოლიტიკის ნაზრევს. აქვე აღნიშნა, რომ ის პოლიტიკა, რასაც ურბანული მიმართულებით ახორციელებს თბილისის მერია, არის ცნობილი კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკა და თუ ვინმეს აქვს რაიმე კითხვა ამ მიმართულებით, მზად არის ისაუბრონ და განიხილონ თითოეული მოსაზრება.

შალვა პერანიძემ აღნიშნა, რომ დიდ დილომში, ვაშლიჯვარსა და სოფელ დილომში, ბოლო პერიოდში, იმატა გაზომომარაგების, ელექტროენერჯის და წყლის მიწოდების შეწყვეტამ ისე, რომ არ ხდება მოსახლეობის გაფრთხილება, ხოლო თუ ხდება, ორ-სამჯერ იცვლება შეტყობინებაში მითითებული დრო და მოქალაქეები, ზამთრის პირობებში, რჩებიან სიცივეში, რაც ძალიან რთულია. მაგალითად მოიყვანა დიდ დილომში რამდენიმე დღის წინ არსებული ვითარება, როდესაც მოსახლეობა 48 საათის განმავლობაში იყო გაზის გარეშე და ვერცერთი კომპანიისგან ვერ მიიღო პასუხი, თუ რა ხდებოდა. აქედან გამომდინარე, მოუწოდა კომპანიებს, რომ ავარიული გამორთვის შემთხვევაში, მაქსიმალურად მიიტანონ ინფორმაცია მოსახლეობამდე, იქნება ეს ფოტომასალის გავრცელების, ტელევიზიების ადგილზე მიყვანით თუ სხვა საშუალებით, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ, რა ხდება. აქვე, მიმართა მარეგულირებელ ორგანიზაციას, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ძალიან დიდი უკმაყოფილებაა მოსახლეობაში, შეისწავლოს ეს საკითხები და კონკრეტულ კომპანიებს დაავალოს, რომ გეგმიური სამუშაოების ჩატარება განახორციელონ არა ზამთრის თვეებში, როდესაც მინუს გრადუსებია, არამედ ზაფხულის პერიოდში, რათა მოქალაქეებს შეექმნათ ნაკლები დისკომფორტი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილაგა

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილაგა

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ არაგველი

7. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), ასევე, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

11. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N330 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.306.01.07.330) და ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქ.N34-ში მდებარე N75 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.031.01.01.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

12. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.066) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

13. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N29/ხიდის ქუჩა N1/ზვიად გამსახურდიას სანაპირო N58-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.004.01.574) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

14. „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გელათი 95“-ს (ს/ნ. 206044804) (უფლებამონაცვლე - შპს „პლატინუმ ისანი“ (ს/ნ. 405290983) შორის 2022 წლის 20 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ნუგზარ ნებიერიძესა (პ/ნ. 01024005315) და შპს „ალიანსი სამგორს“ (ს/კ. 405532794) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

17. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ.N85/24-შიმდებარე 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.022.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩინურისთვის“ (ს/ნ.405446094) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

18. „ქ.თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N11-ის მიმდებარე 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.030) პირდაპირი განკარგვის წესით, ნელი გიორგობიანისთვის (პ/ნ.N01024000911) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

19. „ქ.თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ის მიმდებარე სკვერში არსებული 392 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.055) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

20. „ქ.თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიემჯი 555“-სთვის (ს/ნ. 402252156) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, II კვარტალი, კორპუსი N5-ის მიმდებარედ არსებული 2800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.880) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ პირს - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) შორის ქ.თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2024 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, N01.18.13.037.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (საიდენტიფიკაციო N404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №გ-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (საიდენტიფიკაციო N 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №გ-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ. 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

27. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი:

N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

28. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანზე არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ. N01.16.01.005.144; N01.16.01.005.145; N01.16.01.005.146; N01.16.01.005.147) და N01.00.580 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ხაზოვან ობიექტში (მიწისქვეშა გასასვლელი) არსებული გარკვეული ფართების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

29. „მისამართზე - ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ. N01.17.12.003.255) (ამჟამად, ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა - ს/კ. N01.17.12.003.255, მოსკოვის გამზირი N9ბ, გ - ს/კ. N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, შპს „მექტი დეველოპმენტის“ (ს/ნ. 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ კახეთელიძე

30. „მისამართებზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114) და შარტავას ქუჩა N3 (ს/კ. N01.10.13.015.112) არსებული, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და დაზარალებულ პირთა (მათ შორის ყოფილი ინდივიდუალური ბინათმენაშენეთა აშხანაგობა - „თაბუკაშვილი 88“-ის მიერ დაზარალებული პირები) მიმართ ფართის და/ან თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ კახეთელიძე

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N13, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი IV მ/რ, N25 კორპუსის მიმდებარედ, მე-2 მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.080, ფართობი - 3442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N36ა, N30, N34, N32, N38, N36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა I, N17ა, N17, N15, N13, N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა N21, N11დ, N23ა, N27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.001.530; 01.19.36.001.123; 01.19.36.001.529; 01.19.36.001.217; 01.19.36.001.176; 01.19.36.001.013; 01.19.36.001.177; 01.19.36.001.152; 01.19.36.001.535; 01.19.36.001.171; 01.19.36.001.511; 01.19.36.001.510; 01.19.36.001.163; 01.19.36.001.037; 01.19.36.001.162; ფართობი - 5444 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.122, ფართობი - 26125 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი N11; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მ/რ, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.576, ფართობი - 2394 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1366 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.22.003.045; N01.19.22.003.057; N01.19.22.003.087; N01.19.22.003.024) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.097.011; N72.16.17.352; N72.16.21.804; N01.72.16.097.009; N01.72.16.097.007; N01.72.16.097.008; N72.16.21.080; N01.72.16.097.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სამედიცინო-სპორტულ-სარეაბილიტაციო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი 10; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N10-ში (ნაკვ. 4/17) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.17.11.002.013, N01.17.11.002.011, N01.17.11.002.018, N01.17.11.004.032, N01.17.11.004.033, N01.17.11.004.041) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, ზაზა ალექსიძის ქუჩა, N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.034.040) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

41. „ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის ქუჩა, N63, N65, N69-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.21.06.784; 81.21.06.571; 81.21.06.400; 81.21.01.352; 81.21.06.432; 81.21.06.619; 81.21.06.635; 81.21.06.636; 81.21.06.783; 81.21.01.981; 81.21.06.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

42. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.011.011) მრავალფუნქციური და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

43. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის IV შესახვევი, N7, N3, N5; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.19.18.007.016; N01.19.18.007.048; N01.19.18.007.043; N01.19.18.007.018; N01.19.18.007.050; N01.19.18.007.056; N01.19.18.007.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

44. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N24ა; ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი, N 24ა, (ნაკვ.02/018; ნაკვ.02/049) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.34.002.017; N01.19.34.002.038; 01.19.34.002.194; 01.19.34.002.193; 01.19.34.002.041; 01.19.34.002.037; 01.19.34.002.191; 01.19.34.002.130) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

45. „ქალაქ თბილისში, ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა, N21, N23, N23ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.17.12.015.040; 01.17.12.015.037; 01.17.12.015.039) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

46. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.32.053; N81.02.32.017; N01.81.02.295.010; N81.02.02.401; N81.02.02.400; N81.02.02.381; N81.02.02.902; N81.02.02.696; N81.02.02.585; N81.02.32.052) ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

47. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.20.519, N72.16.20.523, 72.16.20.521, 72.16.20.562, 72.16.20.527, 72.16.20.518, 72.16.20.520, 72.16.20.522, 72.16.20.524, 01.72.16.104.008, 72.16.17.862, 72.16.20.558, 01.72.16.104.011, 01.72.16.104.009-ის ნაწილი, 01.72.16.104.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

48. „ქალაქ თბილისში, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა, N6; N8; N4ა, N10; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა, N 2, N4, N6; ქალაქი თბილისი, სამადლოს უბანი; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.81.01.246.001; N01.81.01.246.055; N01.81.01.246.059; N01.81.01.246.058; N01.81.01.246.061; N01.81.01.246.012; N01.81.01.246.025; N01.81.01.246.024; N01.81.01.246.042; N01.81.01.246.063; N01.81.01.246.056; N01.81.01.246.043; 81.01.02.554-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

49. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.96.031; N81.02.06.510; N81.02.06.413; N81.02.94.194; N81.02.94.195; N81.02.94.715; N81.02.06.429; N81.02.93.369; N81.02.93.362; N81.02.00.162; N81.02.96.679; N81.02.96.678; N81.02.98.646; N81.02.06.496; N81.02.06.426; N81.02.96.026; N81.02.06.343; N81.02.06.390; N81.02.00.022; N81.02.06.389; N81.02.99.970; N81.02.96.692; N81.02.96.700; N81.02.94.717; N81.02.00.896; N81.02.00.815; N81.02.06.432; N81.02.97.361; N81.02.97.954; N81.02.95.824; N81.02.96.856; N81.02.06.362; N81.02.97.846; N81.02.94.714; N81.02.98.512; N81.02.95.577; N81.02.94.676; N81.02.06.349; N81.02.06.361; N81.02.94.718; N81.02.95.578; N81.02.06.476; N81.02.00.987) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

50. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.94.034; N81.02.00.670; N81.02.19.919; N81.02.19.920) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი, „ხოდაბუნი“; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ხოდაბუნების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.384; 72.16.17.386; 72.16.17.741) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

52. „ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი, ვარდის წყარო; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, კოდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.786; N72.16.17.421; N72.16.17.420; N72.16.17.544; N72.16.17.761; N72.16.17.740; N72.16.17.900) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-

დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

53. „ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, პოლიციის სამმართველოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.434) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

54. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.94.957; N01.81.02.277.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი და ორბინიანი ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

55. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

56. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

57. „ქალაქ თბილისში, ევგენი ხარამის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის N315 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

58. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ტრიკოტაჟი, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ.ნინუა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.001.197, N01.12.12.001.196, N01.12.12.001.412, N01.12.12.001.208, N01.12.12.001.218, N01.12.12.001.409) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N342 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

59. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1ა, N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N344 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის, ნამალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებისთვის ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

61. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის გრიგოლ რობაქიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

62. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბარბარე ყიფიანის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

63. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევისთვის, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

64. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის ვალერი ჩიქოვანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

65. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მეზრძოლის ომარ ფურცელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

66. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეზრძოლის ზურაბ კვანტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

67. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის გუმათჰესის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

68. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

69. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

70. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრადის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

71. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს ხევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის საბარგოს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 100 წელს მიღწეული მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების გაცემის პროგრამაში ცვლილება, რომლის თანახმად, დევნილის სტატუსის მქონე 100 წლის და მეტი ასაკის პირებისთვის ზუსტდება განაცხადის თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი და ასევე, უფრო დეტალურად არის გაწერილი დახმარების ჩარიცხვის პროცედურა იმ პირებზე, რომლებსაც ერთხელ უკვე გაეწიათ დახმარება ან განესაზღვრათ კუთვნილება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევის დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესში ცვლილება, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ბაზარზე შემცირდა მედიკამენტის „ფინგოლიმოდი“ ფასი, 2026 წლის პირველი მარტიდან დგინდება ხსენებული მედიკამენტის მიწოდების ახალი ტარიფი.

გიორგი დოხტურიშვილი აღნიშნა, რომ წლების წინ, იყო ისეთი პრაქტიკა, რომ თუ ხარჯთაღრიცხვა წარსადგენი იყო მერიაში ან გამგეობაში, მთელი კვირის განმავლობაში, ნებისმიერ დღეს, მედიკამენტებზე ვრცელდებოდა ფასდაკლება, რაც საკმაოდ ეფექტური იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან დიდი საშეღავათო პირობები მიიღო, როგორც დედაქალაქის ბიუჯეტმა, ასევე, თითოეულმა ბენეფიციარმა და დაინტერესდა, რა ფორმით არის შესაძლებელი იგივეს გაკეთება. აქვე დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ მოქალაქემ, ერთის ნაცვლად წარადგინოს რამდენიმე ხარჯთაღრიცხვა, რადგან რიგ შემთხვევებში სხვადასხვა აფთიაქში მედიკამენტებზე არის განსხვავებული ფასები და თუ მუნიციპალიტეტი გადაიხდის რაც შეიძლება ნაკლებ თანხას, მივიღებთ იმას, რომ მუნიციპალიტეტი შეძლებს დააფინანსოს უფრო მეტი ბენეფიციარი.

ბექა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ იყო შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობდა ერთი კონკრეტული აფთიაქი და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვება იმას, რომ გამგეობამ ითანამშრომლოს მხოლოდ ერთ აფთიაქთან, კომისიის სახელით, ყველა აფთიაქთან გაიგზავნება წერილი, რომ კონკრეტულ მედიკამენტებზე იყოს ყოველდღიური ფასდაკლება და მათი სურვილის შემთხვევაში, გაფორმდება მემორანდუმი.

ნინო ლომინაძემ რამდენიმე აფთიაქიდან ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შეზღუდვა არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აფთიაქები მიმწოდებლებლად არიან რეგისტრირებული კონკრეტულ პროგრამებში, ხოლო, იქ სადაც ხდება კომისიური განხილვები, თავისუფალი არჩევანის საშუალებაა და მოქალაქეებს ნებისმიერი აფთიაქიდან შეუძლიათ წარმოადგინონ ანგარიშფაქტურა.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკმაოდ საინტერესო და კარგი ინიციატივაა, რომელზეც შესაძლებელია საკრებულომ იმსჯელოს კომისიურ ფორმატში, შესაბამის საქალაქო სამსახურთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილაგამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხები შინაარსობრივად ერთი და იგივეა, თუმცა პროცედურულად საჭიროა მათი ცალ-ცალკე დამტკიცება. ზემოთ ხსენებულ წესებში ცვლილების განხორციელება განპირობებულია ახალი პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ შემოტანით.

თინათინ ნიბლოშვილი განაცხადა, რომ „ისწავლე და დასაქმდი“ არის თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძალიან წარმატებული პროგრამა, რომელიც, კახა კალაძის ინიციატივით, სამ კოლეჯთან თანამშრომლობით, დაინერგა 2018 წელს. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნიდან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსება მზარდია და ამ წლების მანძილზე, ადამიანები გადამზადდნენ 80-მდე სპეციალობაში, რის შემდეგაც მათ მიეცათ რეალური დასაქმების შესაძლებლობა. აქვე აღნიშნა, რომ ეს არის პროგრამა, რომელიც ნათლად ასახავს, როგორი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის, კერძო სექტორის და ბიზნესის თანამშრომლობა

ისე, რომ სამივე მათგანს ჰქონდეს რეალური შედეგი. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღეს წარმოდგენილი ახალი პროგრამის შემოტანაც ემსახურება იმის გააზრებას, რომ პროფესიული განათლება არ არის ალტერნატიული გზა და ის არის ეკონომიკური გაძლიერების რეალური და ღირსეული შესაძლებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთ კრიტერიუმად განსაზღვრულია ავარიული საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხი, კერძოდ, ის უნდა იყოს IV ან V ხარისხის, რაც დადასტურებული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვით, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს დაინტერესებული პირების მიერ. პროცესის გამარტივების მიზნით, დადგენილებაში შედის ცვლილება, რომლის თანახმად, თუ ავარიული საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივი მდგომარეობით არის დანგრეული ანუ განხორციელებულია მისი დემონტაჟი ან მუნიციპალიტეტს გაყვანილი ჰყავს მოსახლეობა და დაცარიელებულია, გამგეობის მიმართვის საფუძველზე, შესაძლებელია ავარიულობის ხარისხი განსაზღვროს არა მხოლოდ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, არამედ, ასევე, მუნიციპალურმა ლაბორატორიამ.

ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ არსებობს მისამართები, სადაც ნანგრევის სახითაც კი აღარ არსებობს არაფერი და დაინტერესდა, ასეთ ადგილზე როგორ უნდა მოხდეს ავარიულობის ხარისხზე დასკვნის გაცემა.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ თუ შენობა აღარ არსებობს, როგორც წესი, იგულისხმება, რომ ეს არის ავარიულობის V ხარისხის მაჩვენებელი და ასეთ დროს, მუნიციპალური ლაბორატორია ასახავს ფაქტობრივად არსებულ მდგომარეობას.

დავით ფანჯაკიძე დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე ვადა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკითხის დახურვა იმ შემთხვევაში, თუ იქნება მაცხოვრებლების თანხმობა გამოსყიდვასთან დაკავშირებით.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ვადის დადგენა და დათქმა საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან წესში გაწერილი პროცედურების მიხედვით, თუ დადგა კონკრეტული ფაქტობრივი

წინაპირობები, რაშიც იგულისხმება შენობის ავარიულობის ხარისხის დადგენა, შესაბამისი დასკვნების არსებობა და მესაკუთრეების თანხმობა, შემდგომი პროცედურები ხორციელდება მყისიერად, ყოველგვარი ზედმეტი ვადების გარეშე.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანია და მადლობა გადაუხადა საქალაქო სამსახურებს, საკრებულოს წევრებს და ყველა იმ ადამიანს, განსაკუთრებით, თბილისის ვიცე-მერს, გიორგი ტყემალაძეს, რომლებსაც ამ ინიციატივაზე ჰქონდა მყისიერი რეაგირება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ნ. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ არაგველმა და განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შინაური ცხოველების შესახებ, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა კანონთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ არსებული წესები და ამასთანავე, გარკვეული ფუნქციები გადავიდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესში წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება, კერძოდ: შეიცვალა წესის სათაური, ცხოველების გასეირნების წესი, წესიდან ამოღებულია თავშესაფრის მოწყობის საკითხები. ასევე, შემოღებული იქნება საშენთან დაკავშირებული რეგულაციები და ლიცენზირების საკითხი, რომ ცხოველის გამრავლება მოხდება მხოლოდ საშენში, რაც არ არის ასახული ზემოთ ხსენებულ პროექტში, თუმცა, საშენთან დაკავშირებული რეგულაციები, დამატების სახით, წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში.

დავით ფანჯაკიძე დაინტერესდა, რამდენი მიუსაფარი ცხოველია რეგისტრირებული თბილისში დღეის მდგომარეობით.

ნიკოლოზ არაგველმა განმარტა, რომ 2025 წლის ნოემბერში განხორციელდა მიუსაფარი ცხოველების აღწერა, რომლის თანახმად, დედაქალაქის მასშტაბით, მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობამ მიაღწია 29000-ს.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ დღეს, დედაქალაქის ერთ-ერთი გამოწვევა მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებული მდგომარეობაა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით იხვეწება კანონმდებლობა. ამასთანავე, მიუსაფარი ცხოველების კასტრაცია-სტერილიზაციის მაჩვენებელი აღწევს 78%-ს, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საოპერაციო შენობების აშენებასთან დაკავშირებით და უახლოეს მომავალში, დაგეგმილია დაახლოებით 800 ძაღლზე გათვლილი ვოლიერების მშენებლობა, სადაც შესაძლებელი იქნება აგრესიული მიუსაფარი ცხოველების გადაყვანა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოწვევა არ არის ერჯერადად გადასაწყვეტი, ეს არის კოპლექსური საკითხი, სადაც აუცილებელია მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და თითოეული მოქალაქის მხრიდან მოქმედი წესების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოწვევა გადაუჭრელი დარჩება.

გიორგი დობტურიშვილმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა, თუნდაც 2-3 თავშეფარი რომ ააშენოს და ამ კუთხით არსებული ბიუჯეტი 10-ჯერ გაზარდოს, ამ პრობლემას არაფერი ეშველება, თუ იგივე პროექტები არ განხორციელდა თბილისის მოსაზღვრე რეგიონებში, რადგან ძალიან მაღალია ცხოველების მიგრაცია.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებული მდგომარეობა სერიოზული პრობლემაა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ამ კანონს ერთი მხრივ, აქვს ჰუმანური მიდგომა ცხოველების მიმართ და მეორე მხრივ, ეფექტურია იმიტომ, რომ ორიენტირებულია გამრავლების წყაროების ჩაკეტვაზე. აქვე აღნიშნა, რომ ეფექტი არ იქნება მყისიერი, ის იქნება წლებში გაწერილი, მაგრამ იქნება დამაჯერებელი შედეგი, თუმცა, ამისთვის აუცილებელია, რომ ამ პროცესს აყვინ თბილისის გარშემო არსებული რაიონების მუნიციპალიტეტები.

ზურაბ აბაშიძე დაეთანხმა გიორგი დოხტურიშვილის და ბექა დავითულიანის მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებული მდგომარეობა ნამდვილად დიდი გამოწვევაა, რომელიც შეიძლება თბილისმა ლოკალურად მოაგვაროს, თუმცა, თუ იგივე არ მოხდება თბილისის გარშემო არსებულ რაიონებში, ეს პრობლემა არ მოგვარდება და ამიტომ თბილისის გამოცდილება და „ავანგარდში დგომა“ შეიძლება სხვებისთვის იყოს მაგალითი.

ნიკოლოზ არაგველმა განაცხადა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ პროცესის წარმოებას ინფრასტრუქტურულად და დაეხმარება თბილისის შემოგარენ რაიონებს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), ასევე, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება მშენებლობადასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების დაჩქარებული სერვისების ტარიფების და ვადების განსაზღვრას. ასევე, შემოდის ახალი მოსაკრებელი, რომელიც გულისხმობს მიმდინარე მშენებლობის ეტაპზე პროექტის შეფასების დადასტურების შესწავლას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ორივე მიმართულებაზე ძალიან მაღალია ინტერესი კერძო სექტორის მხრიდან და შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, დაინტერესებულ პირს, აძლევს დაჩქარებული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც, ერთი მხრივ, გაზრდის სერვისის ხარისხს და მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტს ექნება კონტროლის მეტი შესაძლებლობა.

დავით ფანჯაკიძემ აღნიშნა, რომ ეს თემა წლებია აქტუალურია და ჯერ კიდევ ბევრი სახლია ექსპლუატაციაში მიუღებელი და დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ერთ-ერთ ალტერნატივად განხილული იყოს სახლის ექსპლუატაციაში მიღება მაცხოვრებელთა გადაწყვეტილებით, რაც, მისი თქმით, შენობის ექსპლუატაციაში მიღებაზე პასუხისმგებლობას გარკვეულწილად ააღებინებს მოსახლეობას, ხოლო მუნიციპალიტეტს შეუმსუბუქებს პასუხისმგებლობას.

გოგი ჩიქოვანმა განმარტა, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის აუცილებელ მოთხოვნად განსაზღვრულია რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის, უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სეისმომედეგობაზე მდგრადობის დასკვნის წარმოდგენა, რათა მუნიციპალიტეტმა არ ჩაიბაროს ისეთი შენობა, რომელსაც უსაფრთხოების კუთხით შეიძლება ჰქონდეს რაიმე

პრობლემა. ზოგადად, მშენებლობის და შენობის ექსპლუატაციის მიღების კუთხით არსებული რეგულაციები მიღებულია ცენტრალური ხელისუფლების და საკანონმდებლო ორგანოს ჩართულობით და სწორედ აქედან გამომდინარე, აღნიშნული არ არის მხოლოდ მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტი. აქვე აღნიშნა, რომ დედაქალაქში ამ მიმართულებით არის გარკვეული გამოწვევა და მუნიციპალიტეტი მუშაობს იმაზე, რომ იქ, სადაც არ არის უსაფრთხოების და მდგრადობის პრობლემა, საკითხი გადაწყდეს მოსახლეობის და კეთილსინდისიერი მესაკუთრეების სასიკეთოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, დებულებაში აისახება სამსახურისთვის დამატებული ფუნქცია.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით მკაცრდება მიდგომა შენობების იერსახის დამახინჯების მიმართულებით და ასევე, მუნიციპალიტეტს ეძლევა შესაძლებლობა ჰქონდეს რეაგირება და განახორციელოს შესაბამისი ზომების გატარება ვანდალიზმის გამოვლენის მიმართულებითაც, რაშიც იგულისხმება საჯარო სივრცეებში ინვენტარის დაზიანება-განადგურება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ძირითადად მოიცავს შემდეგ ცვლილებებს: კ1 კოეფიციენტის განსაზღვრას; ზუსტდება კ2 კოეფიციენტის

გამოთვლის წესი; სარეკრეაციო ზონა 3-ში, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, ზუსტდება დასაშვები სახეობები, კერძოდ, ემატება სასტუმრო და ბიზნეს ცენტრი და უქმდება სიმაღლესთან დაკავშირებული არსებული 12 მეტრიანი შეზღუდვა; საცხოვრებელ ზონა 3-ში ზუსტდება რეგლამენტები, სადაც სიმაღლის ანგარიშში არ გაითვალისწინება მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსი და შენობის სახურავზე განთავსებული ლიფტის შახტა; ემატება მუხლი, რომლის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ტერიტორიის საცხოვრებელი ზონა 6-ით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით განვითარების შემთხვევაში, თუ ტერიტორიის საერთო ფართი არის არანაკლებ 5 ჰექტარი და მდებარეობს განაშენიანების კონტურში, შესაძლებელი იქნება კ1 და კ2 კოეფიციენტების ჯამურად დათვლა.

დავით ფანჯაკიძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა იზრუნოს ისეთი გამოწვევების გადაჭრაზე, რომლებიც სახეზეა, პრობლემატურია და აწუხებს მოსახლეობას, რომელთა შორის არის პარკირების საკითხი. მისი თქმით, გასაგებია მუნიციპალიტეტის პოლიტიკა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სტიმულირების კუთხით და რეკრეაციული სივრცეების გაჩენის მიმართულებით, თუმცა, იმ ადამიანებს, რომლებსაც ჰყავთ ავტომობილები, გზების გაფართოვებით, უმცირდებათ საპარკინგები სივრცეები. ამასთანავე, არაფერი კეთდება იმისთვის, რომ შეიქმნას დამატებითი საპარკინგე ადგილები, რის შედეგადაც ვლდებულობთ ტროტუარებზე გაჩერებულ მანქანებს. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტმა შეიქმნას სტიმულები იმისათვის, რომ ქალაქში გაჩნდეს მიწისქვეშა თუ მიწისზედა საპარკინგე ადგილები იქ, სადაც არის ამის შესაძლებლობა.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა დავით ფანჯაკიძის ინიციატივას და აღნიშნა, რომ საკრებულო მზად არის, კომისიურ რეჟიმში, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების და საკრებულოს დაინტერესებული წევრების ჩართულობით, სამუშაო ფორმატში, იმსჯელოს ამ საკითხზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N42-ში მდებარე N330 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.306.01.07.330) და ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრამის ქ.N34-ში მდებარე N75 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.015.031.01.01.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია სამი პირის საკუთრებაში არსებული 122 კვ.მ. ფართის სანაცვლოდ, მათთვის 180 კვ.მ. და 48 კვ.მ. ფართების გადაცემა. აქვე აღნიშნა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება რამდენიმე ათასი ლარით აღემატება მუნიციპალიტეტის ქონების ფასს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N8დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.071.01.066) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19.50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N29/ხიდის ქუჩა N1/ზვიად გამსახურდიას სანაპირო N58-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.004.01.574) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 90.09 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ტექნიკური ხასიათისაა, კერძოდ, ერთ-ერთ მოქალაქეს, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაეცა 66.75 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. იქიდან გამომდინარე, რომ აზომვით ნახაზში იყო უზუსტობა და მითითებული უნდა ყოფილიყო 66.15 კვ.მ., წარმოდგენილია ფართის დაზუსტება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „გელათი 95“-ს (ს/ნ. 206044804) (უფლებამონაცვლე - შპს „პლატინუმ ისანი“ (ს/ნ. 405290983) შორის 2022 წლის 20 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ 2022 წელს, ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უნდა გადმოსცეს 666 კვ.მ. ფართი, თუმცა, ინვესტორმა დაარღვია ვადები, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო, რომელიც შეადგენს 2000000 ლარზე

მეტს. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, პირგასამტეხლო ერთ დღეზე განსაზღვრულია 100 ლარით და შესაბამისად, ამ ლოგიკით, პირგასამტეხლო გამოდის 140000 ლარი. ამასთანავე, კომპანიას აქვს ვალდებულება, ზემოთ ხსენებული ფართები დაურეგისტრიროს მუნიციპალიტეტს სამი თვის ვადაში, ხოლო თუ არ შეასრულებს ახალ ვალდებულებებს მითითებულ ვადაში, განახლდება ძველი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ნუგზარ ნებიერიძესა (პ/ნ. 01024005315) და შპს „ალიანსი სამგორს“ (ს/კ. 405532794) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ კომპანიას, კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართების ვადის დარღვევის გამო, დაეკისრა პირგასამტეხლო 30000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რომლის ფარგლებშიც მიღწეული შეთანხმების თანახმად, მხარე გადაიხდის 15000 ლარს, რაც მუნიციპალიტეტისთვის მისაღებია, რადგან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო არ ითვალისწინებს მაღალი პროცენტის გადახდას პირგასამტეხლოს ნაწილში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ.N85/24-შიმდებარე 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.022.006) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩინურისთვის“ (ს/ნ.405446094) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 13440 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, ბახტრიონის ქუჩა N11-ის მიმდებარედ 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.003.030) პირდაპირი განკარგვის წესით, ნელი გიორგობიანისთვის (პ/ნ.N01024000911) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის

გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1296 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 392 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.055) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4140 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქ.თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე არსებული 1136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.019) 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიემჯი 555“-სთვის (ს/ნ. 402252156) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 17400 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ გმირთა მოედნის რეაბილიტაციის გამო, ამ ტერიტორიაზე განხორციელდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა ბენზინგასამართი სადგურების მიმართ, მათ შორის, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიმართაც. მონაცვლეობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს დარჩენილი ჰქონდა შპს-სთვის 179000 ლარის ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია კომპანიისთვის აეროპორტის დასახლება N20-ის მიმდებარედ 1275 კვ.მ და ჰეიდარ ალიევის სანაპიროზე არსებული 22 კვ.მ.

მიწის ნაკვეთების გადაცემა, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება ზემოთ ხსენებულ თანხას და შესაბამისად, კომპანია, საპრივატიზებო საფასურის სახით, გადაიხდის 20835 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, II კვარტალი, კორპუსი N5-ის მიმდებარედ არსებული 2800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.880) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ დიდ დილომაში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტერიტორიაზე დაგეგმილია სკვერის მოწყობა, გამგეობის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, ხორციელდება მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. აქვე აღნიშნა, რომ უძრავ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 229600 ლარს, რასაც საპრივატიზებო საფასურის სახით, გადაიხდის კომპანია.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ პირს - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) შორის ქ.თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57573 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2024 წლის 24 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგს“ (ს/ნ 404566947) გათავისუფლებისა და ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N12-ში, N01.18.13.037.287 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილებას, კერძოდ, კომპანიას, გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს მახათას მთაზე, განხორციელებული მშენებლობით უნდა დაეკმაყოფილებინა კოოპერატივის 168 წევრი. თუმცა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა და აქედან გამომდინარე, მოძიებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც მართალია ფართობით აღემატება კომპანიისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთს, მაგრამ თანხობრივად მახათას მთაზე არსებული მიწის ნაკვეთი თითქმის 10000000 ლარით აღემატება ფონიჭალაში არსებულ მიწის ნაკვეთს. აქვე აღნიშნა, რომ კომპანიისთვის, კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილების ნაწილში პირობები რჩება იგივე, თუმცა, გარკვეული ცვლილებებია წარმოდგენილი თავად კოოპერატივის წევრების მხრიდან, კერძოდ,

9 პირმა, იქიდან გამომდინარე, რომ არ მოსწონთ ახალი ტერიტორია, უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე და ამიტომ, მათთვის გადასაცემი ქონება გადმოეცემა მუნიციპალიტეტს, ხოლო 18 პირს წარმოდგენილი არ აქვს სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომლის წარმოდგენისთვისაც, ამ საკითხზე საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ეძლევათ ათდღიანი ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირებისთვის გადასაცემი ფართებიც აღირიცხება მუნიციპალიტეტის საკუთრებად. ხსენებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ფონიჭალაში განხორციელებული პროექტით, ამ ეტაპზე, დაკმაყოფილება კოოპერატივის 141 წევრი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (საიდენტიფიკაციო N404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ Nე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ ხსენებული და მომდევნო საკითხი შინაარსობრივად იდენტურია და ეხება თბილისის ტერიტორიაზე ელექტრო დამტენების მონტაჟს, თუმცა, მიწის ნაკვეთები განკარგული იყო სხვადასხვა ლოტებით და შესაბამისად, წარმოდგენილია ორი პროექტი. აღნიშნა, რომ კომპანიას, ელექტრო დამტენების განთავსებისთვის საჭირო სამუშაოების შესრულებისას, ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მხრიდან და აქედან გამომდინარე, საჭიროა ელექტრო დამტენების განთავსების ადგილების ცვლილება. აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე, ორივე პროექტით, წარმოდგენილია ცხრა ლოკაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (საიდენტიფიკაციო N 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ Nე-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ

ჯეო ინვესტს“ (ს/ნ. 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილებას და ითვალისწინებს შენობის ექსპლუატაციაში მიღების ვადის გახანგრძლივებას 6 თვით, რაც გამოწვეულია მიწისქვეშა კომუნიკაციებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემებით. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებული პროექტით დაკმაყოფილდება კოოპერატივის 24 წევრი, რომლებიც თანხმობას აცხადებენ ვადის გაგრძელებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვნების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება მხოლოდ განკარგულების დანართს, რომლის თანახმად, ფეხბურთის ასოციაციას, ჯართის სახით, დამატებით გადაეცემა გარკვეული მოძრავი ქონება, რომელსაც გამოიყენებს ტრიბუნების გადასახურად და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, რაც უზუფრუქტის ვადის გასვლის შემდეგ, დარჩება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

